განმარტებითი ბარათი

"დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

2008 წლის 1 იანვარს ამოქმედდა "დიპლომატიური სამსახურის შესახებ" ახალი კანონი, რომლითაც დეტალურად მოწესრიგდა დიპლომატიური სამსახურის გავლასთან დაკავშირებული საკითხები საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. ამოქმედდა ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე, თუმცა კანონი შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს და არსებობს ისეთი საკითხებიც, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას საჭიროებს. კანონპროექტის მომზადება განპირობებულია „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობით, დიპლომატიური სამსახურში სტაბილურობის პრინციპის განმტკიცებისა და რეზერვში მყოფ პირთა შემდგომი დასაქმებისათვის კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით.

კანონპროექტის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს დიპლომატიურ სამსახურში დროებით მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნის შეზღუდვა, რეზერვიდან კვალიფიციური კადრების დანიშვნის გზითა და/ან შესაბამისი კანდიდატურის არარსებობის შემთხვევაში კონკურსის წესით დანიშვნით. ამავდროულად, პროექტი განსაზღვრავს როტაციის წესით მივლინებიდან დაბრუნებულ პირთა სამართლებრივ გარანტიებსა და მათთვის შესაბამისი ან არანაკლები თანამდებობის შეთავაზების ვალდებულებას. კანონპროექტით შესწორებულია მთელი რიგი ხარვეზები და დადგენილია ახალი, დამაზუსტებელი ხასიათის ნორმები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია დიპლომატიური სამსახურის ერთიანობისა და კადრების სტაბილურობის, მათ შორის, საქართველოს ყველა მოქალაქისათვის მათი უნარის, კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად

დიპლომატიურ სამსახურში შესვლის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ახლებურად რეგულირდება მთელი რიგი საკითხები, კერძოდ:

კანონიდან ამოღებულია დიპლომატიური მისიის ცნება (მე-2 მუხლის "ე" ქვეპუნქტი და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი), რადგან დიპლომატიური მისია თავისი არსით არ განსხვავდება საელჩოსა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობისაგან და დიპლომატიური მისიის სახელწოდებით არ არის გახსნილი საქართველოს არცერთი დიპლომატიური წარმომადგენლობა.

მე-2 მუხლის "თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დიპლომატიური თანამდებობის პირის ცნება გადამუშავებულია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოქმედი ფორმულირება გაურკვევლად ტოვებს იმ პირთა სტატუსს, რომლებიც დადგენილი წესით დანიშნულნი არიან დიპლომატიურ თანამდებობაზე, თუმცა ჯერ არ აქვთ მინიჭებული დიპლომატიური რანგი. წარმოდგენილი რედაქციით, დიპლომატიური თანამდებობის პირს წარმოადგენს დიპლომატიურ სამსახურში დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს დიპლომატიური რანგი, ასევე დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული პირი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში უნდა მიენიჭოს დიპლომატიური რანგი.

მე-2 მუხლის "ი" ქვეპუნქტით ახლებურად განიმარტება ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ცნება და გამოსწორებულია მოქმედი რედაქციის ხარვეზი.

მე-2 მუხლის "ლ" ქვეპუნქტში ამოღებულია კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ცნება და ჩანაცვლებულია რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ცნებით.

მე-2 მუხლის "მ" ქვეპუნქტში მომსახურე პერსონალის განმარტებას ემატება მითითება "საკონსულო ურთიერთობათა შესახებ" 1963 წლის კონვენციაზე, რადგან სწორედ ამ კონვენციით განისაზღვრება საკონსულო დაწესებულებების მომსახურე პერსონალის სტატუსი.

მე-2 მუხლს "ს" ქვეპუნქტად ემატება თავდაცვის ატაშეს განმარტება.

მე-6 მუხლს ემატება 1^1 პუნქტი, რომლის შესაბამისად, დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის ან/და დიპლომატიური წარმომადგენლობის საბოოლოო ან დროებითი გაწვევის შემთხვევაში შესაძლებელია სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვა მინდობილ იქნეს მესამე სახელმწიფოსთვის, რომელიც მისაღები იქნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსთვის.

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით მიზანშეწონილია კანონის მე-10-მე-14 მუხლებში დიპლომატიური თანამდებობის პირის კატეგორიების ნაცვლად განისაზღვროს დიპლომატიური თანამდებობის კატეგორიები.

მე-16 მუხლის "გ" ქვეპუნქტი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შესაბამისობაშია მოყვანილი "დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ" 1961 წლის ვენის კონვენციასთან, სიტყვა "უფლებები" იცვლება სიტყვით "პრივილეგიები".

მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით კონკურსის წესით დიპლომატიურ თანამდებობაზე ინიშნებიან პირები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და ორ უცხოურ ენას.

კანონს ემატება მე-17^1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნის წესს, კადრების სტაბილურობის პრინციპის გათვალისწინებით.

მე-18 მუხლში უკონკურსოდ დასანიშნ დიპლომატიური თანამდებობის პირებს ემატება დირექტორის მოადგილის თანამდებობაც.

24-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტში როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვევის საფუძვლად ემატება მივლინებული პირის გამოცხადება "მიუღებელ პირად", რადგან "დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ" 1961 წლის ვენის კონვენციის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის სახით მივლინებული პირის გამოცხადება ხდება არა პერსონა ნონ-გრატად (ეს შეეხება დიპლომატიური თანამდებობის პირებს), არამედ მიუღებელ პირად.

24-ე მუხლის მე-2 პუნქტი შესაბამისობაშია მოყვანილი სამინისტროში განხორციელებულ რეორგანიზაციასთან და ამოღებულია გენერალური ინსპექციის ფუნქციაზე მითითება.

26-ე მუხლის პირველ პუნქტში რეზერვში ჩარიცხვის საფუძვლებს ემატება შემთხვევა, როდესაც პირს როტაციის წესით სამუშაო მივლინება ვადაზე ადრე შეუწყდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ შემთხვევებში, რომელსაც არ ითვალისწინებს ეს კანონი. აღნიშნული მითითების არარსებობა პრაქტიკაში გარკვეულ პრობლემებს ქმნის ამ საფუძვლით როტაციიდან გამოწვეული პირების რეზერვში ჩარიცხვისას.

26-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქციის შესაბამისად, სამსახურის გავლის წესით მოწესრიგდება დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ჩარიცხვის ის შემთხვევები, რომლებიც არ არის განსაზღვრული კანონში.

26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედი რედაქცია წარმოადგენს კანონის ხარვეზს და პრაქტიკაში მისი რეალიზების შემთხვევაში შესაძლოა შელახოს კონსტიტუციით გარანტირებული შრომის თავისუფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი რედაქციით, დიპლომატიური სამსახურის **რეზერვში არ ჩაირიცხებიან როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტისა და როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლის გამო გამოწვეული პირები, რომლებიც უარს განაცხადებენ სამინისტროს მიერ შეთავაზებულ თანამდებობაზე.**

კანონის 29-ე მუხლში ტერმინი "განსაკუთრებულ შემთხვევაში" იცვლება ტერმინით "საჭიროების შემთხვევაში", რადგან განსაკუთრებული შემთხვევები არ არის განსაზღვრული არცერთი ნორმატიული ან ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

კანონის 36-ე მუხლში დაზუსტდა და არსებულ პრაქტიკასთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი დიპლომატიური რანგის მინიჭების ვადები.

კანონის მე-40 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებს, ემატება $д^1$ ქვეპუნქტი – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე დანიშვნა, რადგან ამ შემთხვევას სხვა საფუძვლები არ მოიცავს, რაც წარმოადგენს კანონის ხარვეზს.

მე-40 მუხლს ემატება ასევე შემთხვევა, როდესაც პირს როტაციის წესით სამუშაო მივლინება ვადაზე ადრე შეუწყდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ შემთხვევებში, რომელსაც არ ითვალისწინებს ეს კანონი. აღნიშნული მითითების არარსებობა პრაქტიკაში გარკვეულ

პრობლემებს ქმნის ამ საფუძვლით პირის სამსახურიდან გათავისუფლების საჭიროებისას. ამასთან, სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებს ემატება ასევე როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლა.

კანონის 41-ე მუხლში განიმარტება, რომ როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში მივლინებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთათვის დიპლომატიურ და საკონსულო იმუნიტეტზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი, გარდა დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელისა, რომლის დანიშვნა ხდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პარლამენტის თანხმობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელისთვის იმუნიტეტის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

კანონიდან ხდება 49-ე მუხლის მე-3 პუნქტის "გ.ა" და "გ.ვ" ქვეპუნქტების ამოღება, რადგან აღნიშნული საკითხები მოწესრიგებულია ამავე პუნქტის "გ.დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ბრძანებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს, იმ პირთთვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება *საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.*

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც

მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები აკაკი მინაშვილი და ირაკლი ქავთარაძე

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები აკაკი მინაშვილი და ირაკლი ქავთარაძე